

კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი გაზეთი. გამოსდის ყოველ კვირა დღეს.

№ 9

თ ი მ ბ რ ვ ა ლ ი, 25 1896 წ.

№ 9

შინაარსი: ელეონორა დუზე-ჩეკკი. — უკანასკნელი პისუნი, აკაკისა. — სწვა-და-სწვა ამბები. — ჩემი სიმღერა ლექსი, პ. და-ვიაშვილისა. — რენტგენის სწივები. — საყურადღებო ამბები. — მოგონება, ტ. ც. — შეილი. — მესამოცე წლების მოღვაწენი და დღე-განდელი ცხოვრება, ნ. ჟორდანიასი. — აკაკის ლექსი — დუცუ შატრელისა. — მუცე ღონე არ არის (ვტიუდი), ანასტ. ერის-თვისა. — მგზავრის შენიშვნები (შემაღვი იქნება), ნომლელისა. — კვადის ფოსტა და განცხადება.


ელეონორა* დუზე-ჩეკკი. *)



მანთქმულ მსახიობ — ქალთა შორის, რომელთა რიცხვი საზოგადოთ მეტათ მკირება, ერთი უპირველესი ადგილი ეკუთვნის ელეონორა დუზეს. დიდი ხანია, რაც სარა ბერნარი მთელი ქვეყნისაკან ცნობილია პირველ არტისტათ თანამედროვე მსახიობთა შორის. მაგრამ „იტალიელი სარა ბერნარი“, როგორც უწოდებენ ელეონორა დუზეს, არა თუ არ ჩამოუვარდება ფრანგთა სარას, არამედ, ზოცის აზრით, ბუნებრივი ნიჭით კიდევაც ჯობნის მას, უპირველესი თვისება დუზეს ნიჭისა ის არის, რომ მისი თამაშობა საკვირვლათ უბრალოა, ყოველ წინაღვე მოთქირებულ ვემატებს მოკლებულია მაშინ, როდესაც სარა ბერნარს ყოველი წერილმანი მოძრაობაც კი შესწავლილი აქვს საოცარი ხელოვნებით, ასე რომ თვით ეს დეტალური შესწავლა, ეს შრომა ხელოვნებათ გადაქცევა.

ელეონორა დუზე დაიბადა ჩრდილო იტალიაში 1859 წ. მას თავისი ნიჭი თითქო შთამომავლობა

*) ტეობალდო ჩეკკი, დრამატურგია, ქმარია ელეონორა დუზესი.




ბით დაჰყვა. მისი პაპა და მამა კარგი მსახიობნი იყვნენ. ელენოზორას პაპამ, ლეიფი ლუზემ, პადუაში თეატრიკ კი დააარსა, რომელსაც ახლა ვარიზალდის თეატრს ეძახიან. რაც შეეხება მამას, იგი ნიუთიერი მხრით ცოტა შევიწროებული იყო და ამით აჩხენებდა, რომ მისი ქალი-შვილი სულ ახალგაზდა გამოიდა სცენაზე (თორმეტი წლისა). იმ დროს მას მეტათ ცოტა ფასს აძლევდნენ და, ამბობენ, შიმშილიც კი არა ერთხელ გამოუცდიათ. ასეთ მდგომარეობაში გაატარა ელენოზორა ლუზემ ოთხი წელიწადი, მაგრამ ის მაინც ენერგიას არა ჰკარგავდა, დღისით ახალ როლებს იზებოდა, საღამოს თამაშობდა სცენაზე და საზოგადოთ იმდენს მუშაობდა, რომ შრომით იკანცებოდა ხოლმე: ის თითქო გრძნობდა თავის ბრწყინვალე მომავალს.

ერთხელ, თექვსმეტი წლისა იქნებოდა, რომ მას შემთხვევით მოუხდა ვერონაში ჯულიეტას როლში გამოსვლა. თეატრში ხალხი მეტათ ბევრი დაესწრო. ახალგაზდა ქალმა გამოიჩინა მთელი თავისი ნიჭი, მთელი თავისი ძალღონე და მართლაც დიდ შთაბეჭდილებას იქონია და ხალხი ალტაცებაში მოიყვანა. ეს იყო მისი პირველი ტრიუმფი. მაგრამ

ამ შემთხვევამ ბევრი არაფერი შემატა ლუზეს სახელს. მხოლოთ როდესაც იგი მიიწვიეს ვლორენციის ძველ თეატრში, რომელსაც სახელი გაუთქვეს რას ტორიმი, საღვინიმ და ალბერტიმ, მხოლოთ მაშინ იწყება ლუზეს კემპარიტი დიდება და სახელის განთქმა. სხვა და სხვა სატანტრო ქალაქები ზედი-ზედ იწვევდნენ მას, და 1892 წ. დამდეგს ელ. ლუზე წავიდა ამერიკაში, ნიუ ორკში, ამ არტისტთა ელდორადოში. საზოგადოება მას ყველგან ალტაცებით ეგებოდა და მისი ტურნე ყოველთვის გაუთავებელი ტრიუმფი იყო. ამ ორა-სამი წლის წინათ ელ. ლუზე რუსეთშიაც იყო.

უმეტეს ნაწალათ ლუზე გამოდის სარდუს, დიუმა-შვილის და იბსენის დრამებში, სადაც სიყვარული-საგან დატარჯული ქალის როლს თამაშობს ხოლმე და მართლაც საოცარი ხელოვნებით, საკვირველს სიმარტივით ასურათებს მათ სულის მდგომარეობას. ვისაც კი ლუზე უნახავს სცენაზე, ყველა ერთხმით მოწმობს მისი სახის მოძრაობას, გამომეტყულებას, რომელიც მას საშუალებას აძლევს გამოახატოს სულის ყოველი ძნელათ შესამჩნევი მდგომარეობაც კი.



უკანასკნელი პასუხი.

მილაცას უთქვამს, რომ ქართველი გინებაში იდგამს ენასაო. საზოგადოთ ეს ტყუილია, მაგრამ ზოგან კი მართლა შეხედვებით მისთანა ბუნეს, რომ ჯერ ენა არ გამოაგრებოდეს, და უწმარურებს კი ამბობდეს: „მამაძალო“, „დედაძალო“, „ლოისილო“, „ვაგაზამი“, „მოკლამ მე სენა“ და სხვანი. ვაგრეშევისათვის ამისთანა ნორჩი მისაწონი არ არის, მაგრამ მშობლებს კი არ ეჯავრებათ... პირიქით კიდევ უხარიათ და ამბობენ გუნებაში: „ეენაცეალე ჩემ პატარა ტიტინა ბიჭს, ახლავე ეტყობა მქვერ-მეტყველობის ნიჭიო... მართალია, ჯერ ცუდი სიტყვების მეტს არას ამბობს, მაგრამ ეს ხომ უგუნურობით მოსდის და, როცა გაიზნება და კუკუში ჩაბეღება, მაშინ ზღილობიან სიტყვა-პასუხზე გადაეაო“. მართალი არაან მამობლები!.. შეგის მათი გულის პასუხი, მით უფრო, რომ მეც ვეგრეველ ყყოვილვარ იმათ მდგომარეობაში: ძვირათ გინმე გამოსულა ჩვენში ან სამწერლო და ან სხვა რომელსამე საზოგადო სარბიელზე, რომ პირველი ბიჯი ჩემკენ შექართი არ

გადმოედგას და ჩემი ლანძღვით არ დაეწყოს თვისი დებიუტი. იმ თავიდან ამ ბოლომდე ეს ისე დაკონინდა, რომ თითქოს უამისოთ ნება არა ჰქონდეს ახალგაზდას პირველი ბიჯის გადადგმისა.. ისე როგორც ქრისტიანი ეგრ მიიღებს ზიარებას, თუ „მეშა უფალო და აღეიარეფო“ არა თქვა, ან—და ნათელობის დროს თუ არ გაიმეორეს მის მაგიერ სამჯერ „ეიეჰში ეშმაკისავანო!“. ვინ თხოულობს ამას და ვისთვის არის საჭირო, არას ვიტყვი, მაგრამ სწორათ ასე კი არის სასი.. ვისაც არ ჯერა, გადათევალიეროს ჩვენი მწერლობა ამ ოცდათუთხმეტი წლის განმავლობაში, და, თუ ესტყუოდე, ცუდი კაცი და მიძახოს!.. ამასაც ნუ მაქმარებს... აკრეთე თუ სადმე შეხედეს, რომ მე პირველი შეგებოდე ვისმე პირადობას და მხოლოთ ცილის წამების თავიდან ასაღუნათ მართა პასუხი არ მეწეროს, მოუსენვარი მოწოდება და დამგმოს. აი, ახლაც სრულიად კანონიერათ მიწერეა „ეიერიის“ ახალგაზდა კრიტიკოსის ჩემსკენ გამოლაშქრება:

„აკაცის ნაკი წელიწადი დაუღვაო“, „მისი მოთხრობა სახელს ეგრ შემატებსო“ და სხვანი. ესე იგი უბოლიზოთ რომ ვთქვათ, „ხელს რომ აიღებდნენ წერაზე, კარგი იქნებოდა“. ეს ეგება მართალიც იყოს

მაგრამ, რადგანაც მე ჩემ ღღეში არ მიფიქრია სახე-
ლის მოპოვებაზე და არც ახლა ეცდილობ მის გადი-
დებას, ამისათვის ბოღნივს ვიხილ, რომ ვერ ვასრულებ
მისსა და მისიანების სურვილს და ისევ ისე ვსწორავ,
როგორც მიწიარს შეძლებისდა გევაით, დღე, სახე-
ლის გადინდებაზე მით იფიქრონ, ვისაც მხოლოდ მის
მოსაპოვებლათ უღევანიათ, ჩემი სურვილი და მის-
წარაგება კი ყოველთვის სხვა ყოფილა და დღესაც
სხვა არის.

ცხოვრებაში რომ ფეხი შევდგი, კარგათ ვიცო-
დი ავ-კარგის გარჩევა და მწარესა და ტუბილსაც ეა-
ტყობდი. ჩემ წინ იდგა ორ-კამი გზა; მარჯვნივ—
სწორი, გატყევილი და ვარდით მოფენილი, ადგი-
ლი ვასადგელი და საუფუნო რუკო, ციხე—დარბაზში
საბედნიეროთ მიმყვანი; მარცხნივ—უსწორ მასწორი,
ოღრო-ჩოღროიანი, ეკლიან-ტალახიანი, სახიფათო,
სპირა-ბოროტო, შორი, მაგრამ შედ უკუდავების წყა-
როზე კი მიმსვლელი. საზოგადო ახრი სირინოზის
ხმით მიწურულვდა ყურში: „აი, ჩივი მარჯვნივ!
ხოლო იმ პირობით კი რომ დაიფიქრო წარსული,
ხელი აიღო მომავალზე და იფიქრო მხოლოდ შენს
საკუთარ აწმყოზე! ეს საღონო გზა მიგვიყვანს იმ
სადგურამდე, სადაც მოგელის სიმდიდრე და მაღალი
ხარისხი, ეს ორი უპირველესი განძი, და ნატურის
თავლი ქვეყნიური ცხოვრებისა. შენი გარეგანი შემ-
კულობა ქვეყანას თვლის მოსტრის, ტუბილი სიტყვა-
პასუხი ყურს მოუხიბლავს, უწყინარი და ზდილობი-
ანი ქვედა გულს მოიგებს და სიმდიდრეც საშუალო-
ბას მოგცემს, რომ ღირს-მუცელათა გუნდი პურ-
ლინით მოინადირა და გაიერთოლო. იცავს სხვებ
სახელ განთქმულათ, დაბრტყები სიტუაობით და სა-
მარჯვნივ დიდებულათ ჩახვალა, მერე კი, რაღაი
შენ აღარ იქნები, შენთვის სულ ერთი იქნება, ქვა-
ქვანდვად ნულა ყოფილაო.“ „აია! აია! ნუ გაუგო
ნებ მე მაკდურს!—ჩამძახადა მეორე ყურში ჩემი
გაღვი ხმით ბავშობისას ვაგონილი ზღაპარი—განა
ადამიანს შეშენის წარსულის დაიწყება და მომავალ-
ზე ხელის აღება? ეს ხომ საუფრთხო პირლუტყვის ხვე-
დრია? შენ კაცი ხარ და, როგორც კაცს, არ უნდა გა-
ვიწყებდობდეს არც მშობელი და არც ნაშობი! თავ-
გაწირული უნდა იყო შენი სატრფოსათვის, არც
ჭირში და არც ლხინში არ უნდა გაიწყებდობდეს
საყვარელი მათთვის თავის განწირვა და ჭირის ატა-
ნა ლხინით უნდა მატავდეს. ხომ ხედავ, რომ შენი
მშობელი, შენი სატრფო, შენი საყვარელი, ოდესმე
გამოჩენილი მზეთ-უნახავი, დღეს დასწყულვებული და
დაწყულვებული ძე იცხდა იბრუნებს სულს? მისი
ფეხზე წამოყენება და განკურნება უკუდავების წყა-
როს მეტს არაფერს შეუძლია და იქამდის მისასვლე-

ლი კი ამ გზის მეტი სხვა გზა არსად არის! აია!
დაადექი ამ გზას, ნუ შეუშინდები ხიფათს, ნუ მოე-
რიდები განსაცდელს, აიტანი ყოველგვარი უბედუ-
რება და თავგაწირული მიჰყევ ამ გზას, სადამდისაც
მიგიყვანოს!“ კი მაგრამ მე ხომ გმირი არაფერი, რომ
შევიძლო მთელი გზის გაკაფვა უკუდავების წყარო-
მდე?—ვაძლევდი პასუხს ჩემ გუნებაში—სადმე ახ-
ლოსვე ჩაეკედები საწყლათ.. ჩემ თვსაც დაეკლებ
და ვერც არას ჩემ საყვარელს შევმტებ მეტეი „პაი,
სულმოკლეო! გმირი თუ არა ხარ, უბრალო დღიურ
მუშათ ხომ მაინც გამოადები და ისიც კარგაო!—
მარწმუნება და გილა—მართალია, მთელ გზას ვერ
გაიფიქრებ მაგრამ რაღდენიმე ბოჯის გადაღვას ხომ
მოასწრებ? იმ შენ გაკვალილ გზას შენს შემდეგ
სხვები ადვილათ, გაუჭირებლათ გაიფიქრან და ახალ
მუშაობას დაიწყებენ რქიდან, სადაც შენ შეჩერებულ-
ხარ. ამ რიგათ ერთი მეორეზე დღეს-ხვალიობით
გაიკაფება მთელი გზა, უკუდავების წყარო ესხურება
შენს სატრფოს და გაიკურნება. მართალია შენ ველა-
რას მოესტრება, მაგრამ სიკვდილის წინეთ მოვალე-
ობის ასრულების ტუბილი გრძნობა და საუფლოში
იმედის ჩატანა იგივე ცხოვნებაო.“ მითხრა დაბეჯი-
თებით. მეც მარცხნივ ვადადევი ფეხი და აღარც გა-
დამიხვევია. —ხშირათ მოხდება, რომ საროსკოლოში
მიმავალმა კაცმა გზაში ფეხი წამოჰკარას, დაუცეს, მაგ-
რამ წამოდგეს ისევ და გაუღდეს საბინძურა გზას.
ავრევე შესაძლებელია, რომ ეკლესიაში სალოცავათ
მიმავალსაც ასევე მოუედიღეს: ნამეტანი სიჭქართი ფე-
ხი წამოჰკარას ჩასმე, გაგორდეს მიწაზე, მაგრამ მაინც
არ მოინაშოს ეკლესიაში შესვლა. მართალია იქაც
წაქცევა და აქაც, მაგრამ მიზანი და მიმართულება
კი ამ ორი შემთხვევის სულ სხვა და-სხვა არის და
საროსკოლოში მიმავალს ნება არა აქვს უყიყროს
მეორეს: „შენც ხომ წაქცეულხარო!“ და სხვა.—
წაქცეულვარი თუ არა მეც ამ მარცხენა გზაზე, არას
ვიტყვი! ეს სხვებისთვის მიმინდვია სათქმელათ, მაგ-
რამ შეტელობით კი ზოგჯერ შემცლარავი: ნამეტანი
გულ-მსურველობით მეტერი მოყვრათ მიმიღია და
მოყვარე მკრათ მომწინებია, თუმცა მალე კი გამოე-
რკვეულვარი ხოლმე და მევე გამისწორებია ჩემი შე-
ცლომა. მოვიტან აქ ერთ მაგალითს:

თბილისში რომ ჩამოვედი, „ძველმა მოღვაწე-
თა წრემ“ ძალიან სიამტუბილობით მიმიღია და მით
ფრთხილ შემძახს!.. მით უფრო, რომ სტუდენტებისაგან
ძალიან გულ-დაჩაგრული ვიყავი: ჩაატამ წერაზე
ხელი არ აიღო და ჩენი სურვილის წინააღმდეგ
წავიდაო. ვარდა ერთი ორისა, უმეტესობა მოსვენე-
ბას აღარ მძძლევდა, კიბინას მაყრიდა, საკონლათ
მიგდებდა. ქართველების „ტრედიკოვსკის შეძახა“

და სხვანი. ერთხელ ლაერენტი არღაზანმა თავის სახლში წამიყენა. გზაში, სხვათაშორის, ჩამოვადო ლაპარაკი ერთ ახალგაზდა მწერალზე და მითხრა: იმასთან შეგობრობას ან ვიჩვენო. მართალია, შენი თქმისა არ იყო, ის ნიჭური კაცია, ვამრჯელი, სწავლა-განათლებლის მოსურნეც. მაგრამ თავ-მოყვა რეობით სწავლია და კეთილ ნაყოფს ვერ მოატანსო. გულში ნათელი დღე მდებდა ქვეყნის გაჩენაზე. შემთხვევით მოძრაობას, „სლოუანი მენაიზმისა“ აბრალებდა, და, რომ არ დაეთანხმე, დღემიწასთან გასწორაო.

საზოგადოთ შემინიშნავს, რომ ამ გვარი კაცები ქვეყანას არას არგანია და ბოდოს, როცა მათი აღრა გაუფიქრა, ან თავის გულს შემოასტევიან: და ან გაცოჯრანებული ბრუნდა და მართალს გაურჩევლით კბენას დაუწყებენო. ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, წინ ერთი ვიღაც კვარტალნი შეგვეხდა; ლაერენტომ ხელი ჩამოართვა და ისიც თან წამოიყენა. გზაში ერთმანეთს ვავაკუნო: ღმიტრი ბერივეი ვამოდდა და მეც შევეკრთო, რადგანაც პოლიციელისა და პოეტის ერთათ წარმოდგენას ვერ ვახერხებდი. ლაერენტის სახლში ბევრი ნაცნობი დამიხედა, უფრო მეტი კი უცნობი და, როდესაც წარმადგინეს, ყველამ სიამოვნებით შემომხედა. ყური მოეკარი, ერთმა დედებრმა წაუღლაპარაკა მეორეს: გენაცვა, შეილო, რა ახალგაზდა ყოფილაო?! ძნელი წარმოსადგენია ახლა, თუ რა სიამოვნება ვიგრძენი იმ საღამოს! უმეტესათ მაშინ, როდესაც ერთმა ახალგაზდა მღვდლის ქალმა ჩემი „საიდუმლო ბართი“ იმღერა. იმ საღამოს ბერს რაზედმე ვლაპარაკობდით, მაგრამ უფრო კი მწერლობაზე. ივანე კერესელძე მოამბრუნდა და მკითხა: როგორ მოგწონს ღმიტრი ბერივეის ახალი ლექსი „სონინი“?

— კარგია! — მიუხედავად — წყობილებაც კარგია და მეზიკაც, მაგრამ აზრი კი ღმერთმა შეინახოს!

— როგორ თუ ღმერთმა შეინახოს?! ყველას მოსწონს და თქვენ კი, სტუდენტებს ძველი კაცების თავის ღღერში ანა მოგვეგონებართა, ანა რას უყუნებ?

— ავიღოთ, თუ ვინდა ეს ტავი: „მოამეცით ყანწი! რათ მინდა ქიქა? გასტყუებს, ეძებდე მე აქა-იქა“. ეს აზრის წინააღმდეგობა არ არის! თუ მთელი ქიქა არ უნდა და გასატყუებთ იმეტებს, ნამეტრევეებს რაღათ ეძებს აქა-იქა? ცხადია, რომ ეს სიტყვა „აქა-იქა“ მიტომ უხმარია, რომ რითმა გამოსულიყო „ქიქა და აქაიქა“. მაგრამ მაშინ არ ჯობდა, ასე ეთქვა: გასტყუებს, ვაიბნებს ის აქა-იქა. მაშინ ისეც ის ლექსი გამოვიდდა და აღარც აზრის წინააღმდეგობა იქნებოდა.

— შემცდარი ხართ! — ჩამოგვერია არღაზანი. კი-

ქა რომ გატყუება ძალა უნებურათ უნდა ეცემოთ და ვთვლიეროთ აქა-იქ, რომ ფეხში არავის შეერკოს.

— ეგ კარგი სოფთხია, მაგრამ პოეტიაში კი არ გამოადგება. არა გგონია, რომ მაგ აზრით ესმაროს ატორის ეკ სიტყვა? ამას ვარდა რა დასაწერი იყო ეს მეორე სიტყვები: მიყვარს გაძლომა, აღერ საღილი, იქვე მიწოლა და იქვე ძილი“ მეთქი. ამ სიტყვებზე ყველამ სიცილი დაწყო, თერთან ბერივეივაც გაღიანახარა, მოვიდა, ხელი ჩამოართვა და მითხრა: პირველში მართალია ხარ, მაგრამ მეორეში კი არა! ნასადილეს ძილი რომ სასურველია, ამას, ჩემი ხნის რომ მოიყრებო, მაშინ იგრძობო.

— ღმერთო, შეგკოდე! ხანდახან ახლა მეკუმნიკება ხოლმე მაშინდელი მისი სიტყვებო.

მეორეთ, კუკისკენ მიმავალს, ამდღენა ბერივეი და მე გავეზუმრე:

რომ ვინმე დამინახოს ახლა, თუ მტერია, იამება, თუ მოყვარე, ვწყინება.

— რათა?! — მკითხა გოაცებით.

— ღმერთო, რომ კვარტალს დაუტყვიარ და პოლიციაში მიყვარა.

— იმერლო! არც მაგრე ამოჩემება ვარგა კაცისა. რას უტყინებ ამ ჩემ მუნდისს? მინცა-ღამინც ჩემ პოეტობას ეს რას დაუშლის?

— რი ნესვი, ერთი გარეული და ერთი შინაური, ცალი ხელით არ დაიჭრება.

— მე რომ დაბალ ღობეთა მხედვე, მიტომ მეუბნები მაგას, თორემ რატომ გრიგოლს, გიორგის, ივანეს, იაკინთეს და სხვებს არას ამბიღებ, უფრო დიდი გარეული ნესვები არ უჭირათ ხელში?

— მე იმითან რა საქმე მაქვს? ისინი განზე დგანან თავისთვის, შენ კი ჩვენ წრეში ხარ და, მაგ მართულობით რომ გხედავ: მეხიზნება. ვახადე და მეტს აღარას გეტყვი“.

ამ სიტყვას შემდეგ, ხმა აღარ გაუცია ისე ჩაველით ხელმძღვან. იქ ერთი ცალ-ფეხი გლახა შევეხედა, ყინაგნით ხელში; ბერივემა გროში მისკა და დაუწყო კითხვა: რათ ვინდა, ჩემო ძმაო, ეგ ჯობი რომ გიჭირავს ხელში? როგორ თუ რათა? — უპასუხა გლახამ — უამისოთ რა მეშველება?.. ფეხს ვეღარ დავადამ და აქვე დავეარდები მიწაზე. ფეხა რომ გავიშთელდეს, მაშინ ხომ შეეღვევი მაგ იარაღს? რაღა თხრობა მენდომებო, უპასუხა ღმილით.

აი, ჩემო წერეთლო, შენი პასუხიო! — მომიბრუნდა ბერივეი — ეს მუნდირიც ჩემი ყავარჯენია, უამისოთ ფეხს ვეღარ გავადამდი და ოჯახიც შიმშილით ამამიყუდებოდაო.

ეს სიტყვები გულში მომხედენ და თანხმობის

ნიშნათ ხელი გავუშვირე პოეტს. ამგვარი შეცდომა სხვისისაც ბევრჯერ მომხვლია, მაგრამ დანაშაულობათ არა ტანისამართ რომ ნახავს, შინაურებსაც კი შეუწყუას ხალხმე, მაგრამ, ახლოს რომ მივა და იცნობს, მრისხანე ყვეფას სააღერსოა წუწუქუნით აბოლოვებს. რაღა კი გადასული ამბების მოგონებაში შევტოპე, ერთსაც კიდე გავიხსენებ: გიორგი მუხრანსკის დაგებარებში და ვიახელი. ის საკვირველი თავდაბალი, აღერსიანი და ტუბილი მოლაპარაკე კაცი იყო. ისე მიმიღო, რომ მეგონა ჩემ ტოლ ამხანავ სტუდენტთან ვიყავი. დიდხანს ვისაუბრეთ და ბოლოს უტბათ მკითხა: წერეთელი, დიდხანს უნდა იარო მაგრე თმა ვაჩვილმა? მართალია პოეტუ კი ხარ, მაგრამ ნუ დაგუიწყდება, რომ ის დრო წავიდა, როცა პოეტები პარანსზე ღმერთებთან ერთათ ვერხულს უვლიდენი აქ საქართველოა.

—მერე რა? ვუპასუხე მე.

—ის, რომ შენ თავზე ფიქრი გმართებს. პოეტი ხარ და ქვეყანა ვარდისფერათ ვეჩვენება.. და ცხოვრება გაფურჩინილ ვარდათ, მაგრამ ერთხელ უეკველათ ფოთლები დასცივია, მარტო ეკლები დარჩება და მაშინდლისთენი ხელთათმენები მხათ უნდა გქონდეს, რომ ხელები არ გაიკაწრო.

—რა ხელთათმენები?

—გამოუტყველი რომ ხარ და ცხოვრება არ იცი, მიტომაჲც ვერ მიმხედხარა!. მე შემიტყვია, რომ შვირწოაბელთ მდგომარეობაში ხარ, ცუდშვილის პატრონი ხარ და ფიქრი გმართებს. ამთავით ყოლიფერი აღვილათ აიტან, მაგრამ ოდენმე ცხოვრება თავისას მოგთხოვს და მხათ უნდა იყო. ქართული მწერლობა თუ რასმე დაგაკლებს, თორემ ეერას შეჩვენს!. ქართული უსამახუროთ ძნელი წარმოსადგენია: ნუ ჩკარობ! წადი, კარგათ შემთხვევა არის, ახალი რეფორმები შემოდის ჩვენში და შევიდ სამსახურში.

—გმალობთ რჩევისათვის, მაგრამ რომ ვერ გამოვდეცი და რომ კიდეც ვივარგო, განა მომცემენ?

—მაგაზე კიდეც მოველაპარაკე სტარიციის და, რაც შეეხება ვარგობას, რასაც დღეს შერთვის უნაყოფოთ შრომობ, მაგის მეთედც რომ ვასარგო, მთლე დაწინაურდებოა. ამისთანები ბევრი რამ მირთხა: ნუ ჩკარობ! წადი, კარგათ მოითქიქე და ამ სამ დღემე ვადაჭირილი მითხარო. მე ვის სასახუროთ ერთით ალეგორიული ზღაპარი დავწერე სნეული და მკურნალი* და ის მიუტანე. წაიკითხა, ნაღლიანათ გაოცნა და მითხრა: ჰო, ეს სულ სხვა არის. მე მეგონა, თუ გამოუტყველობით ცხოვრება არ იყოდი, შენ კი ფანატიკოსი ყოფილხარო. შენი ნებაა,

მანგრე იტანტალე კირვეულოთ, მაგრამ თუ ცხოვრება ოდენმე ვე დღევანდელი აზრი გამაგაცვლენენო, მოდი ისეე ჩემთანო. ეს მითხრა, ჩამომართვა ხელი და გამომთხოვა. იმ კვირაში ალექსანდრე ობელიანის სასახლის მღვდელი მოვიდა ჩემთან და მითხრა: კინაზმა გამამგზანა, გთხოვათ, რომ ამ საღამოს იმასთან მიმხანდეთ და, მუხრან ბატონისთვის რომ რაღაც წერილი წავიკათხვინებიათ, ისიც თან მიიტანათო. ავასრულე მათი სურვილი. ახლოთ თილა-წინ მიდგას გეზარბაღის მოვლანზე ხვეტებიანი სახლი. სადაც ორმღვლიანი, ის უკეთესი ძველი ქართველი ცხოვრება. კიბის თავთან მომეგება, ჩვეულებრივი სიყვარულით და აღერსით მიმიღო. გამომკითხა ყოველიფერი, რაც მუხრანსკისთან ნათქვამი მქონდა, გამომართვა ხელნაწერი, ვადიკითხა და ცრემლები ვაღმოყარა: ღმერთმა ხელი მოგმართოს, მაგრამ, ვაი, თუ, შეილო, ვერ აიტანთ! მთელი საქართველი ოს ისტორია ერთით დაუსრულელები ტანჯვაა, მაგრამ ამ პატარა, ერთ ბოხნა, ღვთისშობლის საფულისწულოს ჯერ კიდეც გული არ გატეხია და ანდერძათ ესა აქეს: ჰურსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსაო. ნურც შენ ვაუტეხ, შეილო, გულს, ნუ დაეიწყებ, რომ ქართველი ხარ, დედალეთისა იყოს შენი შემწეო. მე სიცილი დაეიწყე და მოგახსენე: ისე მელაპარაკებით თითქო ოაშში მივიღო დეოქო.

არა, შეილო! —განაჩრძო თავის ქნევით — აღვილი ნუ გგონია ცხოვრებასთან ბრძოლა! ომი ხანმოკლეა, ცხოვრება კი ხანგრძლივია.

მასუკან ბევრი დრო გავიდა, მაგრამ რამდენჯერაც კი ჩავარდნილგარ განასცდელში, ყოველთვის მის სიტყვებს უნუშგებებივარ და ცრემლებს ვაფუხნენეებივარ. კურთხულდი იყოს მისი სახსენებელი!!

ეს ამდენი წოლიდობილა ჟიგერის* კრტიკოსის საპასუხოთ მოვიტანე. შეუძლია მიხხედეს, რომ სახელისთვის არაოდეს არ მიფიქრია. გამოვდიოდი მხოლოთ უბრალო დღიურ მუშათ, რამელსაც ნება არა აქეს, რომ ყოველ დღიურ სამუშაოს გვერდი აუტკივას, გინდ წერილობანიც იყოს. არაოდეს მის გარჩევაში არ შევსულვარ, რომ ეს დიდი საქმეა და უფრო გამომაჩენს, ეს კი პატარა და შეუნიშნავე; ეს სასახელია, . ის სხვების სასამარეოა და გულის მოსაგებში, ის კიდე საწყენი და სხვანი და სხვანი.

სამუშაო იარაღათაც ბევრი სხვა და სხვა რამესაც ეხმარობდი: როგორც ყვედრებას, ისე ვედრებასაც, როგორც წყველა-ქრულეს, ისე ლოცვა კურთხევასაც. სადაც ძალივით ყვეფა იყო საქირი, იქ ზეესური არ მიმღერია და, სადაც ვალობა, იქ ყვეფა არ დამიწყია. კალამიც ისე მეჭირა ხელში, როგორც

ყოველ დღიურს სამუშაო იარაღი. სახუროთ-მოძღვროთ არ მომიტლია, თეარა ჩემ ნაწერებს ხელთ კი არ გამოიჩინებოდა, უფრო მეტ დროს მოეხმარებოდა, ვემაშალაშინებოდა, თითო წამის მაგიერათ წელიწადებს მოიგანდომებოდა და მაშინ სახელიც მეტი მიქნებოდა. მაგრამ რა ჯანაბათ მიიდა ვე სახელი? არც ისე უფუნური ვარ, რომ მაგას რამე შენიშნებოდა მივცე! მოცილილმა ხელმა, რამელიც მათ იყო ყოველთვის ყელში წამჭირებოდა, დღეს რომ ტაში დამიკრას, ის სასიამოვნოთ როგორ და მჩხბა, მით უფრო, რომ ამგვარი ხელები, როცა ქაელი მოეგათ, მიიშენებსაც კი უტყაპუნებენ და ვაშა ვაშას უძახიან, რაც შეეხება სიკდილის შემდეგ სახელის დატოვებას, ესეც ხომ სასაცილო თავის მოტყუება! რალი კი მოეცდები და გავება აღარაფრის მიქნება, პირადათ ჩემთვის მაშინ ყოლიფერი ერთი იქნება: გინდა მზე და მთარე დამიდეთ ძველათ და გინდ ძალი დამაკალით საფლავზე. არა! შეგნებული მოღვაწე, რალაც მომავალი სახელით კი არ იტყუებს თავს, იღწის იმ სიტკბო-სიამოვნებისათვის, რომელსაც აქვე, სიკაცხლეშივე გრძობს მუშაობის დროს. მართლაც, რალა ჯობია იმ შეგნებას, როცა მუშაობის დროს გრწამს, რომ შენი შრომა უნაყოფოთ არ დარჩება და გამოადგება ქვეყანას, არა თუ დღეს, ხვალ და ზეგაც! ევება თავისაც ვიტყუებოდა, მაგრამ მე ყოველთვის ჩემ თავზე ამ აზრის ვიყუე და ამ ერთათ ერთი სიტკბოებით ვიკაცხოვროდი. ამ ოცდათუხმეტი წლის განმავლობაში ბრძანებლები და მჩრელები არ დამკლებია, რომ ჩხირ-კედელაობაზე ხელი ამელო, მაგრამ მადლობა უფალს, რომ მე მაინც ჩემი გზა არ შემიშლია და დღიური მუშაობისათვის თავი არ დამინებებოდა. დღეს, რადგაც უმეტესობა მწერლობის

მაგიერათ მხოლოთ ადვოკატებს და, სადაც კი მეტ სარგებელს ხედავს, იქითვე ვარბის, რომ თეთროგორამე ვაშავოს და შავი გაათეთროს, უფრო საჭიროც არიან ჩემისთანა დღიური მუშა მწერლები! ამაზე ისე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ სიმართლე არ მიშლიდეს ხელს, მთლათ მწერლობათ გადავიცოდი და ის იქნებოდა ჩემი მართ ღიერის* კრიტიკების უკეთესი პასუხი. —გეგმონ მანებულს უთქვამს: „მთელი რუსეთი მამდვა და ვერ გამტება და აქ კი ცხინვალის ხილზე ვინლაც ერთი ურია მოპირებს ვაბრეყებდას!“ იმისი არ იყოს, თუკი აქამდინ მე წერაზე ვერ ამაღებებს ხელი და ჩემი ნაწერების წამკიბებულებს — კიბევაზე, ახლა რალა იმდე აქეთ ღიერის* კრიტიკოსებს, რომ მათი პურტყულით შეგეაშინონ?!. არ სჯობია, რომ თავისი დამლომატიური კალამი საშასო არჩევეანებისათვის შეინახონ და გარეშე მკვდრებას და ცოცხლებს თავი დაანებონ? თეარა დღეს დიმიტრი ყიფიანის საფლავისაკენ გაიხსრიან შურდულს, ხვალ ჩემკენ, ზეგ კიდევ სხვები-საკენ, რომელნიც მაგათ ყურ-მოჭრილ ყმობას ვერ აიტანებენ და მათ ფერხულში არ ჩაებმებიან... და რა გამოდის აქედან? ნუთუ ესა პგონიათ ქვეყნის სასახური და ერთგულება?! ,,ეინც არა ჰგავს კახაბერსა, მას ვერ ვიტყვი კახაბერათა,“ ამბობს დაეთ გურამიშვილი. მისი არ იყოს, ვინც თავის პირადობაზე მეტს ფიქრობს, ვიდრე საზოგადო საქმეზე, სადილობამდე ერთსა სწერს და ნასადილევს მეორეს, მისი კი რა მოვახსენოთ! რა ეუთბრა მისთანა ქაირთელს, რომელსაც გაურჩევლათ ყოველი ქართველის სიკეთე და ზედნიერება არ უნარა, გინდ მტერი იყოს და გინდ მოყვარე!

კაპო შენი!
აგვი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

სასულიერო მთავრობის ნებართვით ქუთაისში კომიტეტი შემდგარა, რომელსაც განზრახვა აქვს თანხა შეადგინოს კერძო შემოწორულებით და ეპისკოპოსის ვაბრიელის სახელზე სტიპენდია დაარსოს რუსეთის ერთ-ერთ სასულიერო აკადემიაში. იმედია, ამ კეთილ განზრახვას ყველა დიდი სიამოვნებით მიეგებება და თავის წელიწადს არ დაიშურებს.

სამინისტროს 50 ათასი მანეთი გადაუღვია კავკასიაში სახელმწიფო ტყისა და აგარაკების გასამოიჯნავთ და მათ გეგმას ასაღებათ. ამავე სამინისტროს გადაუწყვეტა მისკის რამოდენიმე თანხა კავკასიის საფლოქსტრო კომიტეტს, რომ მან ამერიკის ენზი გამოიწეროს და მიმამულეთ დაურიგოს.

* *

ქალაქ თბილისის შემოსავალი იყო 1895 წელს შემდეგ: 1 იანერიდან 1895 წ. 1 იანვრამდის 1896 წ. 1.101,822 მ. 22 კ. წლის განმავლობაში ქალაქმა სხვა-და-სხვა საპირიებისათვის დახარ-

ჯა 935,494 მ. 82 კ. ისე რომ პირველ იანვარს 1896 წ. ქალაქს დარჩა წმინდა შემოსაქალი 166, 327 მ. და 38 კ.

* *

ჩვენ შეიკრეთ, რომ ახლათ ამორჩეულ პარკ-მხებრთ და დალაქთა ამქრების უსტაბაშს იორამ შხეიძეს, მის თანაშემწეს სულხან საგინაშვილის და ხმოსნებს გიორგი გაკინძეს და ვართანოეს განუზრახეთ მეტათ საგულისხმო საქმე: სურთ დააარსონ თავიანთ მოძმეთათვის თავშესაფარი, საავთმოყფო და სამკითხველო. ვისურვებთ კეთილათ დაავიკრევიონთ თავიანთი განზრახვა.

* *

მოვაგონებთ მკითხველებ, რომ დღეს სათავად აზნაურო თვატრში ბ. მელ. ბალანჩივაძე გამართავს ქართულ კონცერტს. მომღერალთა გუნდი შესარულეებს ახლათ დაწერილ სევანურ სიმღერებს და ახალ სიმღერას: „ნანაო“. თვით ბ. ბალანჩივაძე იმღერებს ახალ რომანსს: „ოდესაქ გიქქერ“ (სიტყვენი გრ. აბაშიძისა).

* *

ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია ჯამაგირები მისცეს ზოვიერთ მსახიობთ, ამისათვის 1120 მან. არის ვადადებული.

* *

ქართველ მსახიობთა ეზნაგობა შეადგინეს და მართვენ წარმოდგენებს სახელმწიფო თვატრში, ოთხ-შაბათს კიდევ ითამაშეს „მადამ-სანჟენი“ ქალ. ფე. მესხის მონაწილეობით., მოამეალ ოთხშაბათს თურმე წარმოადგენენ „მარგარიტა გოტიეს“ ქალ. ფე. მესხისავე მონაწილეობით. პირველ წარმოდგენაზე ხალ-

ხი ცოტა დასწრებია. იმედია აწი ბლომათ დაეწე-
რება.

* *

პეტერბურგის ქართველობას განუზრახავს პეტერბურგშივე დააარსოს კომიტეტი, რომელმაც უნდა დახმარება აღმოუჩინოს ქუთაისის გუბერნიაში წყალ-დილობისკან და ნამეტანი თოვლისკან დაზარალებულთ.

* *

პროფ. ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი კიდევ ხუთ წელს დარჩება თურმე უნივერსიტეტში.

* *

ამ თვის 16-ს სოფ. მუხრანის მცხოვრებთ ყრილობა ჰქონიათ და ხმის უმეტესობით გადაუწყვეტიათ შეაკეთონ და გააუშჯობენსონ გზები მუხრანიდან სადგურ ქსნამდე. ეს სურეილი რომ განახარციელონ, მცხოვრებთ მთავრობისათვის უთხოვიათ სახელმწიფო გარდასახადისკან განთავისუფლებულ იქნენ ერთი წლით. აგრეთვე ადგილობრივ მემამულეთ თხოვენ დახმარება აღმოუჩინონ ხე-ტყისა და სხვა მასალის მოწოდენით და მუშით. ყრილობის ამ გადაწყვეტილებაზე ხელი აქვს მოწერილი 252 სულს. იმედია მთავრობა შეიწყნარებს ამ გონიერ თხოვნას და მემამულენიც დახმარებას არ დაიზარებენ.

* *

26-ს იანვარს დიდი თოვლის მოსვლამ სხვათა შორის მისცა დიდი ზარალი ქუთაისში ნ. გ. რაუფელოვს, მოვაქრეს შუშეულის საქონლით. ღამე მთელი მალაზიის სახურავი თოვლმა ჩამოტეხა, ერთიანათ საქონელს დააწვა და სულ დაამტვრია რაგორც შუშეულის ისე სხვა-დასხვა საქონელი. რაგორც ამბობენ, ზარალი რამდენიმე ათას მანეთამდვა.

ჩემი სიმღერა.

(გუძღვნი მ. შ-ს).

ნეტავი შენ, მერცხალო,
თავისუფლათ დაფრინავ;
არ გამძიმებს უღელი
და მის ქვეშ არა ჰგმინაფ!..

გიყვარს თავისუფლება,
არავის ემონება,
ბუნებისკან ბოძებულს
შენს სატროფოს ეკონება.

როს ჩვენში ჰკრძნობ სიცივეს,
სრულიად არ ღონდები:



გაფრინდები თბილ მხარეს,
ღროებით მოგეშორადები.

როცა გაზაფხულდება,
ისევე აქ მოფრინდები
და ტკბილი ჭიკჭიკითა
არაფის მოწყინდები.

მე კი მუდამ აქ ვერჩები—
არ ვიყეულვარ ფრინველსა—
და ერთგვართ ვუხვდები
სიციხესა და ყინველსა.

შენს ბედს მაინც არ ვნატობ,
თუმც ტანჯვას ვგრძნობ დღაურაღოს:

აქ წუხილსა მე ვრჩებობ,
ვიღრე სხევან—სიხარულს,

რადგანაც ავთიმყოფი
სატრფო მყავს ფერ-მიხილილი
და მსურს, მის სამსახურში
მლიჩებოდეს სიკვდილი.

მერცხალო, გვედრებში,
ეს თხრონა მომისმინე:
ხშირათ გენახე და სატრფო
ჭიკჭიკით მომიღბინე!..

ბ. ლავთაშვილი.

რენტგენის სხივები.



ილი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც მთელ
განათლებულ ქვეყნას ეუწყა, რომ ეიურც-
ბურგის პროფესორმა, ვილჰელმ კონრად რენტ-
გენმა რაღაც უხილაღი, იღუმალათ მომქმედი სხი-
ვები იპოვა. მას შემდეგ ყოველ დღეს დღემუც
სხვა-და სხვა გასაოცარ ამბებს გვატყობივს, რენტ-
გენის სხივების შემწეობით ესა-და-ეს გაიგეს, გაღმო-
ხატეს და სხ. ამიტომ ეფიქრობთ, რომ ჩვენი მკით-
ხველებსათვისაც საუფლისხმოა იცოდეს ცოტა რამ
ამ სხივების შესახებ და მათ თვისებაზე წარმოადგენა
იქონიოს.


დღეს უტყუარ გამოკვლიებაზე დამყარებული
მეცნიერება და მით უფრო ფიზიკა ისეთ მტკიცე
ნიადაგზე სდგას, რომ რაიმე ახალის ნახვა, მონა-
რუქება უცაბედობაზე, შემთხვევებზე კი არ არის და-
მოკიდებული. მთელა რიგი მეცნიერთა, რომელთ
ნამდვილი და ჭეშმარიტი შიპობებზე, თეორია უნა-
თებს გორენას, ნელ-ნელა, თანდათან, მაგრამ მტკიცე
კი იძიებს, იკვლევს ბუნების ძალთა საიდუმლოებას,
მოეღენათ თვისებას. ყოველივე ახლათ ნახული ოღ
გამოკვლეული, მონარუქებული წარმოადგენს პარ-
დაპირ შემდგს მეცნიერთა წინანდელი შრომისას,
ლოგიკურ დასკვნას იმ ცოდნისა და მსოფლიოზე შე-
ხედულებისას, რაიც დღეს ხელთა აქვს მეცნიერებს.
ერთას შრომა და გამოკვლევა დამოკიდებულია მე-
ორისაზე, ერთის შრომა მეორის გაგრძელებაა. ესევე
იქმის რენტგენის სხივების შესახებაც. ამ სხივების

ნახვა, მათი თვისებას შესწავლა და აღწერა ნელ-ნე-
ლა მზადდებოდა. ხოლო რენტგენმა ეს ცოდნა უფ-
რო გააფართოვა. ჩვენც მიყვებით კვალ-და-კვალ
ამ ძიებას.

ფიზიკიდან ეციტ, რომ მზის შუქი, პრიზმაში
გატარებული, შეიღ ფერათ დაიშლება ხოლმე. ასე
შეიღ ფრათ დაშლილ მზის შუქს სპექტრა ეწოდება.
სპექტრის ერთ ბოლოზე მოთავსებულია წითელი ფე-
რის სხივები, მეორეზე კი იის ფერი. ამათ შორის
სხვა ფერის სხივებია მორიგებ ჩაწყობილი. ამ ქვათ
ჩვეთვის საკულისხმო ეს თვლით დასანახავი სხივე-
ბი კი არ არის, არამედ სულ სხვა, უხილაღი სხივები.
ორსავე უკიდურეს სხივებთან სპექტრში კიდევ მო-
თავსებულია უსილაღი სხივები. ესენი თვლის რეტი-



პროფესორი რენტგენი.




ხელის ჩონჩხი.

ნაზე არ მოქმედებენ, ვერ აღიზინებენ მას და ამიტომ ჩვენ მათ ვერ ეხედვით. სხივს, რომელიც წითელი ფერის სხივებთან არის მოთავსებული და უზილაფია, ჰქვია ინფრა-წითელი. იმ სხივებთა კი, რომელნიც იის ფერის სხივებთან არიან, ეწოდებათ ულტრა-აის ფერის სხივები. ინფრა-წითელი და ულტრა-აის ფერი სხივი თუმცა უზილაფია და მათ ვერ ვამჩნევთ, მაგრამ მათ შესაბამე, მათი სხვა-და-სხვა თვისებათა ღ ზედ-მოქმედებათა შესწავლით, ცოტა რამ ვიცით. ინფრა-წითელი სხივი გაღარიბებული თვისების მქონეა (ე. ი. ამ სხივებს ბევრი სითბო აქვთ). სპექტრის იმ ნაწილზე, სადაც ეს სხივებია, ტერმომეტრი რომ მოვათავსოთ, ტერმომეტრში ვერცხლის წყალი აიწვევს და მეტ სითბოს ვეჩვენებს. ულტრა-აის ფერი სხივი კი ჰიმეოკრათ მოქმედებს სხვა-და-სხვა ნივთიერებაზე: ზოგ ნივთიერებას ანაწილებს, ზოგსაც აერთებს. სად არის მიზეზი სხივთა ამ სხვა-და-სხვაობისა?

თანამედროვე მეცნიერება იმ აზრისაა, რომ მთელი მსოფლიო მოფენილია ერთგვარი უზილაფი ნივთიერებით, რამელსაც ეწოდება კუთრა. ეთერი ყოველ სივრცეშია, ატომებს *) შორის, არის აგრეთ-

ვე ყველგან, ჰერში და ცთომილთა შორის სივრცეში. ორი დამახასიათებელი და ნიშნობლივი თვისება აქვს ამ ნივთიერებას: მისი თვისებაა გადამჭერი მოუჭენელობა, უდრეკილობა და ფრიად მცირე სიმკვრივე. სითბო, ელექტრონობა და სინათლე მხოლოდ სხვა-და-სხვა გვარი ვიბრაცია, ტოკვა ამ ნივთიერებისა. ეს ნივთიერება ტოკავს, ლელავს და ზვირთებს გზენის ყოველი მხრით. ზოგი ზვირთი გრძელი და ნელათ მოძრავია, ზოგიც მოკლე, მაგრამ გაზვირებით, მალი-მალ მტოკავი. თვით ეთერის ატომები კი სხივების გარდი-გარდმა, ჰერპენდიკულიარულათ ტოკვენ. სინათლის სხივების სხვა-და-სხვაობა პირ-და-პირი შედეგია ზვირთების სიგრძისა და სიმოკლისა. ხშირათ მტოკავს და მოკლე ზვირთის სინათლის ფრათ ეხედვით, ნელათ მტოკავს და გრძელს კი ვერა. მაგრამ აქაც ფარგალშია მომწყვედელი ჩვენი მხედველობა. დავინახეთ მხოლოდ ისეთ სხივს, რომლის ზვირთის ტოკვა წამში არა უმცირესია 455 ტრილიონისა (წითელი ფერის ტოკვა) და არა უმეტესი 710 ტრილიონისა—(იის ფერის ტოკვა). ამაზე უფრო ნელი ან ხშირი ტოკვა თუ აქვს ზვირთებს, ასეთი სხივი ჩვენთვის უხილაფია. აგრეთვე დავინახეთ ისეთ სხივს, რომლის ზვირთის სიგრძე 620 მილიმეტრის (წითელი ფერის ზვირთის სიგრძე) მეათასედს არ აღემატება, მაგრამ არც უმცირესია 423 (იის ფერის ზვირთის სიგრძე) მილიმეტრის მეათასედისა. უფრო გრძელი ან უფრო მოკლე ზვირთი არ მოქმედებს ჩვენი თვალის რეტინაზე**), არ აღიზა-

*) თვალის მგრძობაარე გახსია, რომლითაც გვძნობათ სინათლეს.



*) ატომი არის სუპერდუსი, ფიქრით წარმოსახვებნი ნივთიერება, რომლისაგანაც

ნებს მას და ამიტომ უხილავია. მაგრამ ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ შეუძლებელი იყო უფრო გრძელი ან მოკლე ზეირთი, რომელსაც არ შეეძლო წამში ან ნაკლები, ან უფრო ხშირი ტოკა. სითბოც ეთერის ზეირთების ტოკავა. ხოლო ეს ზეირთები სინათლისაზე უფრო გრძელია და ნელათ მტოკავი. აგრეთვე ელექტრონობაც შედეგია ეთერის ამ გეარისავე ტოკვისა. ზეირთები კი სინათლისაზე ვაცილებით უფრო მოკლეა და ვახშირებით მტოკავი.

ახლა კიდევ ქვეით წაივით. საოცარ სანახავს წარმოადგენს ელექტრონი გეისლერის მილში. გეისლერის მილი მინისა და ორივე ბოლო დახურული აქვს. ამ მილის ორსავე ბოლოში გაყრილია მართული, რომელიც შეერთებულია ელექტრონის რომელსავე მანქანასთან, ხეფთან. თითონ მილი ჰერისაგან სრულიათ განთავისუფლებულია. რამდენათაც უფრო სრულია სიცილიერე მილისა, იმდენათ უფრო მარჯვეთ მოვახდენთ კლას. ახლა ელექტრონის ხიფი რომ მოეუშვათ, გეისლერის მილი მომწვანო და იის ფერათ განათლება შიგნით. სანახავი სასიამო და საოცარია! სწორეთ ასეთი მილი ვაკეთა მეცნიერმა კროკამ და ამ საოცარ სხივთა თვისებას კლვევაჰიება დაუწყო. მან შეამჩნია, რომ, როცა კათოდის *) მიდამო ბნელით არის მოკული, ამ დროს ანოდის მიდამო მომწვანო ფერის, ნახათ მოკამკამე სხივებით არის განათებული. მოვლენა მით უფრო სრული და უნაკლებოა, რამდენათაც უფრო სრულია მილის სიცილიერე. კროკამა ამ სხივებს კათოდაური უწოდა. ამ მოვლენის მიზეზს კი შემდეგში ეძებს კროკოკი. მას ჰგონია, რომ არის რალაც განსაკუთრებული მდგომარეობა ნიეთიერებისა, ასეთ მდგომარეობას, ვითარებას უწოდა სხივ-შიფინარე მდგომარეობა (état radiant). აი, ასეთ მდგომარეობის დროს ელექტრონი მოძრაობაში მოიყვანს ხოლმე ნიეთიერების მოლეკულებს**), მილის მეორე ბოლოზე ვადატყარცის და გამოიწვევს ხოლმე ასე საოცარ, მომწვანო ფერათ მანათობელ სინათლეს. ეს კათოდიური სხივები მიდშივე რჩებიან და გარე ვერ გამოიტანენ, ჰერში ვერ ვა-

ერცვლებიან. ანდამატრს ისარი (ყბლანი) ამ სხივებზე მოქმედებს და მიაბრუნ-მოაბრუნებს ხოლმე. შემდეგ ლენარმა დაამტკიცა, რომ ეს სხივები კარგათ ერცვლებიან ჩვეულებრივსა და თავისუფალ ჰერში.

რენტგენი ამოთვე უფრო წინ წავიდა და ცდა შემდეგ-ნაირათ მოახდინა. კროკოკის მილს გარს სქლათ შემოახვია სრულიად შავი ქალღლი. მილს შორე-ახლო მოათავსა ეკრანი, რომელსაც დააცხო პლათინო-ციანური ბარი. შემდეგ ელექტრონის მანქანა მოუშვა, მოქმედებმა მოიყვანა, და ეკრანი ამ დროს მოკამკამე მომწვანო ფერით განათდა. ასეთი გამოცდილებისაგან ცხადი იყო უნდა დავსკვნა, რომ მილიდან მომწვანო ფერის სხივებმა გამოატანეს შავსა და სქლათ შემოხვეულ ქალღლში და ეკრანიც ამიტომ განათდა. შემდეგ შავი ქალღლის მაგიერ სხვა საგნებაც აიღო რენტგენმა. აღმოჩნდა, რომ ამ უხილავ სხივებს შეუძლიათ გაატანონ სქელ წიწმის, ხისა და ლითონის ფირფიტებში და სხე. ბოლოს რენტგენმა თვისი ხელი მოათავსა მილსა და ეკრანს შუა: ეკრანზე გამოიხატა ამ ორგანოს ჩონჩხი. (ეს ნახატი აქაც არის მოკვეანილი). სულ ბოლოს რენტგენმა ისიც აღმოაჩინა, რომ ეს სხივები საფოტოგრაფია ფირფიტაზეც მოქმედებენ, ამისათვის კი სრულებით საჭირო არ არის იმ ეუთს თავი ავხადოთ, რომელშიაც ფირფიტა. მაგრამ ჯერ ისევ აქ შემჩერდეთ და ამ საოცარი სხივების ზეირ თვისება მოვიხსნიოთ.

ამ უხილავ სინათლეს სხივი იმიტომ ეწოდა, რომ იგი მკრძანობიარე სიფრიფანას დაფარავს იმ საგნების აჩრდილით, რომლებშიაც ვაძერება, ვაძანს. თითონ რენტგენმა ამ სხივებს იკს-სხივები უწოდა. ზევით მოვიხსნიეთ, რომ კროკოკის კათოდიური სხივების მიმოქცევა, მიბრუნებ-მიბრუნება ყინლანს შეუძლიათყო. რენტგენის სხივებზე კი ყინლანი ვერ მოქმედებს. ჩვეულებრივი სინათლის სხივები უკუკრთებიან ხოლმე სიფრიფანიდან და განიცილან ვადატყლამას, როცა რომელიმე საგანში მიძერებიან (მინაში მაგ.). რენტგენის სხივების არც ვადატყლამა და არც უკუკრთობა არ შეიძლება. სინათლის სხივს, როგორც ვიცით, სითბოც თან ახლავს. რენტგენის სხივების შესახებ კი ვერას ვიტყვი. აქეთ თუ არა მათ კალორიული, სითბოს მომგერელი თვისება, ეს ჩვენი არ ვიცი, რადგან ჩვენი თვალის რეტინაზე ვერ მოქმედებენ. სხვაფრივ ეს სხივები ჩვეულებრივი სინათლის სხივებისაგან არ განიჩევიან. ხოლო მათი განსაკუთრებული, ნიშნობლევი და დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ეთერის ატომები აქ სხივის პერპენდიკულარულათ


*) კათოდი მართულის ის ბოლოა, რომელსაც ელექტრონობა შემოაქვს; ანოდი კი ის ბოლოა, რომელიდანაც შემოადის ელექტრონობა.

**) მოლეკულეც ფიქრით წარმოსადგენი და უხილავი ნაწილად ნათიარებისა. ყოველი საგანი შედგება ატომებისაგან. რამდენიმე ატომი ერთ მოლეკულას შეადგენს, მოლეკულათ კრებულს კი წარმოადგენს საგანი, ფიზიკური სხეული.

კი არ ტოკვენ, არამედ სიგრიით. დღემდე არ იცოდნენ ეთერის ატომების ასეთი ტოკვა. ყველა ის თვისებაანი, რომელნიც რენტგენის სხივებს ახასიათებენ და რომელნიც კიდევ ჩამოვთვალეთ, პირდაპირ შედეგს წარმოადგენს ეთერის ატომების ამგვარათ ტოკვისას. აი, ეს არის თეორიული მხარე ახლათ აღმოჩენილი სხივებისა, პრაქტიკაში ამ სხივებს სხვა-დასხვა ნაირათ გამოიყენებენ და მოიხმარებენ, უძვეელთა უფრო ფოტოგრაფიაში და ხილურგარეში იქნება სასარგებლო ეს სხივები. ამ მხრით პირველი გამოკვლილება მოახდინა პრაო. მოხეტინგმა ენაში ამ წლის მანინარს ორ ავთომყოფზე. ერთს მკლავი ტკივდა. ახალი სხივების შემწეობით მოხეტინგმა მკლავის ფოტოგრაფიული სურათი აიღო და აღმოჩინა, რომ მკლავში ფინთ-ხი ყოფილიყო. მოახდინა ოპერაცია და ავთომყოფი გაქურჩა. მეორეს ფეხი ტკივდა. აქაც აღმოჩნდა, რომ ავთომყოფის ფეხის ძვალი მიზრუნდულ-მომზრუნდული, მახინჯი იყო. ამას შემდეგ ბევრგან სხვა ამისთანა გამოკვლილება მოახდინეს. მაგრამ ყველაზე უფრო ვასაოცარი და არ დასაჯე-

რებელი ამბავი ამ დღეებში დევეშამ მოკვიტნა: ნიუ-ორკში ეილას, რენტგენის სხივების საშუალებით, თვისივე თავის ტვინის ფოტოგრაფიული სურათი აუღო. რამდენათ სარწმუნო და დასაჯერებელია ეს ამბავი, არ ვიცით. ის კი უნდა ეთქვას, რომ ბორგმანმა, ეილრე ეს ამბავი მოხდებოდა, წინააღმდეგ ის აზრი წარმოთქვა, რომ, თუ ეთერსლის მართლის მაკვირ პოატინისას წეცხებთ საფოტოგრაფო ფირფიტას, შესაძლო იქნება მივიღოთ ფოტოგრაფიული სურათი არა მარტო სხეულის, ძვლებისა და ჩონჩხისაო, არამედ თავის ტვინისაცო. საკვირველია, რომ ასე მალე გამართლდა და განზარტცივდა წინათ-მოსაზრება ბორგმანისა!

რენტგენის სხივების მეოხებით იღებენ სურათებს სხვა-დასხვა ნივთებისას, რომელნიც მოთავსებული არიან დაკეტილ და დახურულ ყუთებში. მაგ., აქ ჩვენ მოყვანილი გვაქვს სურათი ძეწყვისა, რომელიც ჩადებულა იყო სრულებით დახურულ ყუთში, და ამ დროს აიღეს მისი სურათი.



საყურადღებო ამბები.

ფესხეთა (აბუჯა). ჩვენსკენ წელს დიდი ზამთარი დგას: ჯერ იყო და გამუდმებითა წვიმებმა თავი მოაბეზრა როგორც პირუტყვის ისე ადამიანსაც. მაგრამ ამას ენდა ჩიოდა, რომ დიდი თოვლიც ზედ არ დაითოდა ამ წვიმებს. იანერის მეორე ნახევრიდან აღიწყო თოვა და ერთი საყვირი თოვლი დაღვა მთა-გორიან სოფლებში და სოფლის ნაწილებში, ზღვის პირათ კი ერთ არმინამდის. ღრმით მოხუცებულნი ამზობენ, ამოდენა თოვლს არ მოესწრებოივართ.

შარშან აფხაზეთში თოვლი თვალთაც არ უნახავს კაცს. ამიტომ ხალხი მეტათ მოუწმადებელი დახვდა წლევანდელ ზამთარს. ამიტომაც ამ დღემა ზამთარმა აუარებელი ზარალი მოუტანა მცხოვრებლებს: ზოგს სახლი ჩაუბტვია, ზოგს ბოსტანი, ზოგს სასიბინდო და სხ. ხე-ხილისა და სხ. ხეების წაქცევა—დამტვრევას ეინლა ჩამოთვლის.

სხვათა შორის, ს. ტკუარჩელის ეკლესიის სახურავი ჩამატვრია დიდმა თოვლმა. სოფ. კილოკში ერთი გლეხი საქონელს მიგრეკებოდა თურმე საყანე ადგილისაკენ (აფხაზეთში სადაც სიბინდის ღერს მოქიან, იქვე ხეებზე ჩამოკიდებენ ხოლმე და დროც საქიროების-დაგვართ ხან იქვე აძლევენ საქონელს

ჩალას და ხან შინ მოაქვთ), ამ დროს ზევიდან წამოვარდა თოვლის ზევი, რომელმაც ქვეშ მოიტანა საწყალი გლეხი საქონლიანათ. რამდენმე დღეს შემდეგ ამოსხარეს თოვლიდან საბრალო გაყინული გლეხი და მიწას მიბარეს. ცხენით მისელა-მოსელა სოფლებს შუა თითქმის შეწყვეტილია. ბევრგან „თხილამურებთ“ დაიარებიან ახლაც კი. რადგან მისელა მოსელა სოფლებს შუა არ არის, რამდენი ზარალი და უბედურება მოხდა, ნამდვილათ არავინ იცის.

ხმელეთზე რომ ასეთი თოვლი მოდიოდა, ამავე დროს ზღვაც საშინლათ ღელავდა და ბობოქრობდა. ამანაც აფხაზეთის ნაპირებს არა მცირე ზარალი მოუტანა. ამისთანა დიდი და ხანგრძლივი ზღვის ღელვა, 30 წელიწადია, რაც არ გვინახავსო, ამზობენ ოჩაშიორელები. თითქმის ორი კვირა ოჩამჩირე მოწყვეტილი იყო ქვეყნიერებას, რადგან გემები შორს გაუტრობდენ მას.

ამ დღემა თოვლმა ერთი სარკებლობაც მოუტანა ქვეყანას: რაც თოვლი მოვიდა. ქურღობა თითქმის მთლათ მეწყდა და დროებით მაინც თავისუფლათ ამოსუნთქა მცხოვრებლებმა. არც ტყის ნაღრთ დაუღვათ ხეირიანი დღე, მანადირეებსაც ეს უნდოდათ. იმათ ბევრი ნადირი დახოცეს, ბევრი ცოცხლათ დაჰიერეს, სამწუხაროთ აფხაზეთი ღორის ხორცს არა ჰკმენ, ხოლო ვასაცილათ ეგრ გაუტანათ.

ერთ გირვანქა თოფის წამალში იძლევიან დაკლულ გარეულ ტახს, მაგრამ წამლები არავენ არის.

ერთი სიტყვით, წლებიანდელი საოჯახო წელიწადი ევრაფერი ხეირიანია ჯერ-ჯერობით აფხაზეთისათვის. სიმინდის მოსავალი გვარბანი იყო, მაგრამ იმის ფასი ხომ დაცეა და დეცა. უმზანდობისგამო სასიმინდეებში ღებვა ამ წეიმიან წელიწადს სიმინდი.

მოუთმენელათ მოვილიან მცხოვრებნი გზახუხულს, იქმნება სიმინდის მახანდამ აწიოს და რამე ეშველოს ჩვენს ვაჭირებდასა. ენახათ.

მ. მ.

